



ლაგოდების მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №41

2018 წლის 1 მაისი

ქ.ლაგოდები

„ლაგოდების მუნიციპალიტეტის საკრებულოში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეთანხმების შესახებ“ ლაგოდების მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 17 იანვრის №23 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 63-ე მუხლის შესაბამისად, ლაგოდების მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულებით:

მუხლი 1

შეტანილ იქნეს ვცლილება „ლაგოდების მუნიციპალიტეტის საკრებულოში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეთანხმების შესახებ“ ლაგოდების მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 17 იანვრის №23 განკარგულებაში.

მუხლი 2

განკარგულების პირველი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 1

ლაგოდების მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მიერ საკრებულოსთან შეთანხმების საფუძველზე, ლაგოდების მუნიციპალიტეტის საკრებულოში შრომით ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობა, რომელიც აჭარბებს არსებული საშტატო ნუსხის რიცხოვნობის 5% -ს, განისაზღვროს 10 ერთეული შრომითი ხელშეკრულებით.“.

მუხლი 3

ეს განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

მუხლი 4

განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია კანონმდებლობით დადგენილი წესით, გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში, გურჯაანის რაიონულ სასამართლოში, შემდეგ მისამართზე: ქ.გურჯაანი, სანაპიროს ქ. №24.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე,

საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი



გიორგი დამბაშიძე